უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

26/03/2025

MES 7 25 0000340602

გადაწყვეტილება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის №1311986 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომების გასწორების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 10 ოქტომბრის №1311986 სხდომის ოქმში გასწორდეს ტექნიკური შეცდომები და ავტორიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებით კენჭისყრის შედეგები განისაზღვროს შემდეგნაირად:
1.1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხთან დაკავშირებით - მომხრე - 21, წინააღმდეგი - 1;
1.2. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის საკითხთან დაკავშირებით - მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0.
2. ცნობილ იქნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 მარტის №337379 ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

ელექტრონული
ფაქსიმილე
ელექტრონულად